კონფიდენციალურობის პოლიტიკა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს ნიუ ფუუდ კონცეპტ-ს (ს/ნ/ 454413206, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, დაბა წყნეთი, მწვანეს ქუჩა, N 10, კონფიდენციალურობის პოლიტიკას.

შპს „ნიუ ფუუდ კონცეპტ წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკაში შემდგომში მოხსენიებული იქნება როგორც „კომპანია“, „კომპანია“, „ჩვენ“.

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა განსაზღვრავს ჩვენ მიერ მომხმარებელთა პერსონალური ხასიათის მონაცემების დამუშავების წესს, მიზნებს, გამოყენებისა და შენახვის პირობებს. ჩვენი მიზანია მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დაცვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და კონფიდენციალობის პოლიტიკის ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

თანხმობა

წინამდებარე დოკუმენტზე თანხმობის განცხადებით იგულისხმება, რომ მომხმარებელი სრულად გაეცნო და გაათვითცნობიერა დოკუმენტში მოცემული პირობები და ინფორმაცია და მხოლოდ ამის შემდეგ დაეთანხმა მას.

მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს, კომპანიის ელექტრონულ ფოსტაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით, გამოითხოვოს მისი თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე, რის შემდეგაც კომპანია 7 სამუშაო დღის განმავლობაში შეწყვეტს მომხმარებლის ნებისმიერი პერსონალური მონაცემის დამუშავებას. თუმცა, თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, მოხმარებელს აღარ შეეძლება იღბლიან ბორბალში მონაწილეობა.

მონაცემთა დამუშავების საფუძვლები

კომპანია მომხმარებლის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებს, ვინაიდან:

- არსებობს მომხმარებლის თანხმობა.
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მომხმარებლისათვის მომსახურების გასაწევად/იღბლიან ბორბალში მონაწილეობის მისაღებად.

მონაცემების დამუშავების მიზნები

- კომპანიის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- მომხმარებელთან კომუნიკაცია;
- მომხმარებლის მიერ წაყენებული პრეტენზიების აღმოფხვრა;
- მარკეტინგული და სხვა სახის აქტივობების განხორციელება, მომხმარებლის მხრიდან არსებული ცალკე თანხმობის შემთხვევაში;

- მომხმარებლის მიერ განხორციელებული შესყიდვების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება;
- კომპანიის სისტემებზე თაღლითობისა და სხვა საეჭვო აქტივობების აღმოფხვრა;

დასამუშავებელი მონაცემები

იღბლიან ბორბალზე რეგისტრაციისას მომხმარებელი უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

- ტელეფონის ნომერი;

აღნიშნული ინფორმაციის მითითება აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელი ვერ მიიღებს მონაწილეობას იღბლიან ბორბალში.

მონაცემების შენახვის ვადა

კომპანია პასუხისმგებლობას იღებს მომხმარებლის პერსონალური მონაცემების საიდუმლოებასა და უსაფრთხოებაზე.

მომხმარებლის შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას კომპანია ინახავს კანონმდებლობითა და წინამდებარე პოლიტიკით გათვალისწინებული მიზნის მიღწევისათვის საჭირო ვადით.

მომხმარებლის უფლებამოსილება

მომხმარებლის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში კომპანია ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

მომხმარებელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი მის მიერ კომპანიისათვის მიცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება.

მონაცემების გაზიარება

მომხმარებლის პერსონალური მონაცემების გაზიარება შესაძლებელია საჭირო გახდეს მესამე მხარის მომწოდებლების, სერვისის პროვაიდერების, კონტრაქტორების ან აგენტებისთვის („მესამე მხარეები“), რომლებიც ასრულებენ მომსახურებას ჩვენთვის ან ჩვენი სახელით და მოითხოვენ წვდომას ასეთ ინფორმაციაზე ამ სამუშაოს შესასრულებლად.

მომხმარებლის პერსონალური მონაცემების გაზიარება შესაძლებელია ასევე საჭირო გახდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დანაშაულის დადგენის, გამოძიების ან დანაშაულის აღკვეთის მიზნით.

მომხმარებლის მიერ პირდაპირ მარკეტინგზე თანხმობის შემთხვევაში და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, პირდაპირი მარკეტინგისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კომპანიას შეუძლია ისარგებლოს მომხმარებლის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემებით და გადასცეს ის მესამე პირებს, რომლებიც

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე გაუწევენ კომპანიას სარეკლამო მომსახურებას.

პირდაპირი მარკეტინგი

იღბლიან ბორბალზე რეგისტრაციის დროს, მომხმარებელს აქვს უფლება მონიშნოს პირდაპირი მარკეტინგის ველი, რითაც თანხმობას აცხადებს, რომ მას კომპანიამ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით, ტელეფონის ნომერზე გაუგზავნოს სიახლეებისა და სხვადასხვა შეთავაზებების შესახებ ინფორმაცია. ამ ველის მონიშვნით მომხმარებელი ეთანხმება სარეკლამო, წამახალისებელი მასალების, წამახალისებელი აქციების, ფასდაკლებების, შეთავაზებების და ა.შ. მიღებას.

პირდაპირ მარკეტინგზე თანხმობა არ წარმოადგენს იღბლიან ბორბალში მონაწილეობის აუცილებელ წინაპირობას. მოხმარებელს შეუძლია არ დაეთანხმოს პირდაპირი მარკეტინგის პირობებს და თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა იღბლიან ბორბალში.

მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს, კომპანიის მიერ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინების შემდეგ, გამოიხმოს თანხმობა და განაცხადოს უარი მარკეტინგული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე. კომპანია შეწყვეტს მოხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნით და შეაჩერებს მასთან მსგავსი ტიპის კომუნიკაციას 7 სამუშაო დღის ვადაში.

კონტაქტი

წინამდებარე დოკუმენტთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე ან დაუზუსტებელ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, აუცილებლად მოგვმართოთ შემდეგი ელ-ფოსტის მისამართზე: _____.